**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

# ბრძანება N 2-1180

03/08/2021

**ქ. თბილისი**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშაში შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯიას“ სასარგებლო წიაღისეულის (გამარმარილოებული კირქვები) მოპოვების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშაში სასარგებლო წიაღისეულის (გამარმარილოებული კირქვები) მოპოვების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N37 (28.07.2021);
2. შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N37 (28.07.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი